სს. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 192 (20233) — შაბათი, 20 აგვისტო, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ 18 აგვისტოს მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი მოსავლის აღების მოწყობისათვის, საკვების დამზადებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის სახელმწიფო შეკვეთის შესრულებისათვის პარტიული კომიტეტების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერების შესახებ. განხილულ დროს, რამელშიც მონაწილეობდნენ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნები, მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, პარტიის მთელი რიგი რაიონული და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოსავლის ასაღები და მინდვრის სხვა სამუშაოების ორგანიზებული დამთავრება, მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის და უწინარესად მთელი მეცხოველეობის მომზადება ზამთრისათვის მომავალი მოსავლის საფუძველის შექმნა საერთო-სახელმწიფო და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანებია, რომელთა წარმატებულ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესება.

მთელი რიგი რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების კომუნისტი ხელმძღვანელების, აგრეთვე ზოგიერთი მინისტრის უურადღება მიაპყრეს სეროიზულ ხარვეზებს მოსავლის აღების კამპანიის უზრუნველყოფაში, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდაში. ეს ნაკლოვანებანი უშინარესად იმის ბრალია, რომ მრავალი პარტიული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაცია კრიტიკულად არ აფასებს ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში შექმნილი ვითარების სირთულეს ურიგდება გულარხეინობისა და უპასუხისმგებლობის გამოვლინებებს, ვერ ხედავს რეალურ ურთიერთკავშირს ახლანდელ პერიოდში ორგანიზატორული მუშაობის დონესა და სასურსათო პროდუქტებით ადამიანთა უზრუნველყოფას შორის.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღინიშნულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობების, გადამმუშავებელი საწარმოების პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან გაამძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა შრომითის კოლექტივებში, იღვაწონ არსებული ძალებისა და რესურსების მობილიზაციისათვის, რათა დაიჭარონ მარცვლეულის, საკვები, ტექნიკური და სხვა კულტურების მოსავლის აღების ტემპი, სიმეტრად დაიცვან და დროულად გადამუშაონ მოწეული მოსავალი, გამოიყენონ უნეში და წვნიანი საკვების მარაგი შვესების ყველა წყარო. უფრო ფართოდ ჩაბმან ქალაქების ძალები და საშუალებანი მოსავლის აღებაში, გადამმუშავებელი მრეწველობის, სოფლად სოციალური სფეროს განვითარებაში.

უნდა გავზარდოთ მომხოვნელობა მეურნეობათა კომუნისტი ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მიმართ მარცვლეულის, ზორცის, რძის, კარტოფილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვაზე სახელმწიფო შეკვეთის უთუო შესრულებისათვის. შეკვმნათ საქმიანი ვითარება და საჭირო პირობები საიჯარო ურთიერთობის გაფართოებისა და გაღმამავებისათვის, უფრო ფართოდ მივიზიდოთ სახელმეურეულო საწყისებზე ხორცისა და რძის რესურსების ზრდისათვის პირადი დამზმარე მეურნეობანი.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან უფრო სწრაფად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, კი არ დაელოდონ დამატებითი მითითებებს, არამედ გამოიჩინონ მეტი აქტიურობა და დამოუკიდებლობა სასურსათო საკითხის გადაჭრაში, როგორც ამას მოითხოვს XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმის მითითებანი.

განხილულ საკითხი საბჭოთა სიხლოის სამართლის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისტემის სამართლის კანონმდებლობის ახალი საფუძვლების პროექტის მომზადება სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისათვის მუშაობის დიდწინშვნელოვანი ნაწილია. ამ საკანონმდებლო დოკუმენტში ასახულია ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები, კანონიერების, დემოკრატიზმის, კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის, სამართლიანობისა და ჰუმანიზმის, იმათი პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპები, ვინც ხელყოფს საბჭოთა მართლწესრიგს.

აუცილებელი დაემმო იმის, რომ არსებითად უნდა შემცირდეს იმ მოქმედების ნუსხა, რომლის ჩადენისათვის დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ამასთან ნაკლებმნშვნელოვანი ქმედებანი განეკუთვნოს ადმინისტრაციული და სისტემაზეობრივ ღონისძიების კატეგორიას. მნიშვნელოვნად უნდა გავაფართოოთ აგრეთვე შესაძლებლობა, რომ დიდი საზოგადოებრივი საშიშროების არმქონე დანაშაულის ჩამდენი მოქალაქეების მიმართ გამოვიყენოთ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი, მატერიალური საზღვრები და სხვა სასჯელები, რომლებიც დაკავშირებული არ იქნება თავისუფლების აღკვეთასთან. ამავე დროს არ შეიძლება დავუშვათ არავითარი შემწყნარებლობა იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე დანაშაულობანი, ბორტგამბრაბველი რეციდივისტების მიმართ, რომლისაც ჯიუტად არ სურთ დაადგენენ გამოსწორების გზას.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ მიზანშეწონილად მიიჩნია ურჩიოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ფართოდ განიხილოს პროექტი და გაითვალისწინოს განხილვის შედეგები კანონპროექტის საბოლოო ტექსტში, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას.

სხდომაზე მხარი დაუჭირეს წინადადებებს მშვიდობისა და ხალხთა უთანიერთგაგების განმტკიცების ინტერესებისათვის საზოგარგარეთის ქვეყნებთან სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობის ორგანიზაციის სრულყოფის შესახებ. XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მოკავშირე რესპუბლიკების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების დამოუკიდებლობა, გაიზარდოს მათი როლი უცხოეთთან კულტურულ კავშირში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ განიხილა სამინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

პარტიის განახლების, გარდაქმნის გაღრმავების მნიშვნელოვანი ეტაპი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის

გ. პ. რაზუმოვსკის პასუხი გაზეთ „პრავდის“ კითხვებზე

პარტიაში სკკპ წესდებისა და „პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმის დადგენილების შესაბამისად იწყება ანგარიშგება-არჩევნების კამპანია. რედაქციამ სთხოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს გ. პ. რაზუმოვსკის ეპასუხა მის მოზადებასთან და მოწყობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ კითხვებზე.

— რა არის პარტიაში დაწყებული სანგარიშო-საარჩევნო კამპანიის თავისებურებანი? რა ადგილი უნდა დაიკავოს მან სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში, გარდაქმნის გაღრმავებაში?

ახლანდელი ანგარიშგება-არჩევნების განსაკუთრებულობა და მნიშვნელოვნება უწინარეს ყოვლისა განისაზღვრება იმით, რომ ანგარიშგება-არჩევნები, არსებითად, იქნება პირველი დიდი ნაბიჯი სკკპ XIX კონფერენციის მიერ შემუშავებულ პარტიისა და საზოგადოების ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის შესახებ პრინციპულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელების, პარტიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების საქმიანობაში ხელმძღვანელობის პოლიტიკური მეთოდების დამკვიდრების გზაზე. ამიტომ ბუნებრივია ის დიდი მოლოდინი, რომელსაც მას უკავშირებენ კომუნისტები, მშრომელები, ჩვენი ჩვენი საზოგადოება. ამ შინაპარტიული კამპანიისადმი საპატოა ხალხის ღრმა ინტერესის მიღმა დგას. პარტიის, როგორც საზოგადოების რევოლუციური განახლების ინიციატორის, მამოძრავებელი ძალისა და გარანტიის, როლის, გაგება და აღიარება.

მინდა მთელი გარკვეულობით აღვნიშნო, რომ ამ მასშტაბური, პასუხსაგები პოლიტიკური კამპანიის მიზანია პარტიის „ყველა რგოლს, პარტიული სტრუქტურის ყველა დონეზე გადასცეს კონფერენციის რევოლუციურ-გარდამქმნელი იმპულსი, ხელი შეუწყოს გარდაქმნილი პროცესების გაღრმავებას, მათ გამდიდრებასა და შემდგომ გაგრძელებას.

ანგარიშგება-არჩევნების დროს XIX პარტკონფერენციის პოლიტიკური ფორმულები უნდა ვთარგმნთ ამა თუ იმ პარტორგანიზაციის, ამა თუ იმ შრომითი კოლექტივის, ამა თუ იმ რეგიონის პრაქტიკული ამოცანების ენაზე. და არა მარტო დავსახოთ ამოცანები, არამედ თითოეული მათგანის მიხედვით ზუსტად განვსაზღვროთ, რა, როდის და როგორ უნდა გავაკეთოთ. განსაკუთრებით საჭიროა პარტიული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ამ პროცესში ჩავბმთ პარტიის ძირითადი რგოლი — პირველადი პარტორგანიზაცია, სადაც ახლა ინაცვლებს გარდაქმნისათვის ბრძოლის სიმძიმის ცენტრი.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მთელი შინაპარტიული ცხოვრების შემდგომ დემოკრატიზაციას, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ხელახლა გაჯარებას, პარტიისა და საბჭოების ფუნქციების გამიჯვნას, დემოკრატიის მთელი არსენალის დაუფლებას. და, რა თქმა უნდა, — ეფექტიანობის გადიდებას, არჩევითი პარტიული ორგანოებისა და მათი აპარატის საქმიანობაში, რომელსაც სეროიზული რეორგანიზაცია მოუწევს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი იმედოვნებს, რომ აზრთა დამკვიდრებული პლურალიზმის პირობებში ანგარიშგება-არჩევნები ხელს შეუწყობს შეზდფულებათა შეპირისპირების ეფექტიანად მოქმედი მექანიზმის შექმნას, პარტიაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, პარტორგანიზაციათა იდეური ცხოვრების გამდიდრებას, ინერციის გადაჭრით დაძლევას, ანტიგარდაქმნისა და ფსევდოგარდაქმნის შეზდფულებებისაგან გამოჯანსას. სწორად ხომ ასეთი უნდა იყოს ის პოლიტიკური გარემო, რომელშიც ვლინდება და ყოველმხრივ მოწმდება პარტიული მასის აზრით დღეკანდელი და ხვალინდელი პარტიული ხელმძღვანელების თვისებები.

ანგარიშგება-არჩევნების მოწყობის შესახებ პარტკონფერენციის პრინციპული პოლიტიკური მითითებები, როგორც ცნობილია, დაკონკრეტებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმზე, უწინარეს ყოვლისა მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში, შესაბამის დადგენილებაში, რომელიც, სხვათა შორის, პირველად არის მიღებული ასეთ საკითხზე ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა ახალი ინსტრუქცია ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში არჩევნების მოწყობის შესახებ. იგი გამოქვეყნებულია ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნში“ და გვიგზავნა ადგილებზე.

— რა პრობლემები იქნება სანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე კომუნისტთა უურადღების ცენტრში? რა განსაზღვრავს დისკუსიათა შინაარსს?

როგორც ჩვენ მოველით, უნდა გაიმართოს პირდაპირი, გულახდილი და პატიოსანი, ნამდვილად პარტიული სჯა-ბაასი იმაზე, თუ როგორ ასრულებს თითოეული კომუნისტი მინდობილ საქმეს, რა წვლილი შეაქვს მას გარდაქმნაში, გარდაქმნაში მონაწილეობის შესახებ ყველას სიტყვა განმტკიცებულია თუ არა საჭირო საქციელით. დღეს თითქმის ოც მილიონნაირი პარტიის თითოეულ წევრს მართებს, კი არ აცხადებენ, მხარს ვუჭერ გარდაქმნასო, არამედ ყოველდღიურად აქტიურად მონაწილეობდეს რევოლუციურ გარდაქმნებში, რომლებმაც ჩვენი საერთო მეცადინეობით უნდა მოიკრიბოს ძალა, მოგვცეს სულ უფრო მეტი შედეგი.

თითოეულ რეგიონში, თითოეულ პარტორგანიზაციაში კონკრეტული პირობების შესაბამისად წინა პლანზე წამოიწევს პარტიული მუშაობის ესა თუ ის თემა, მხარე და ელფერი. მაგრამ ყველა განსხვავების მიუხედავად თვალთახედვის არეში უნდა ვიკონიოთ მისი უმნიშვნელოვანესი ასპექტები — პოლიტიკური, ორგანიზაციული, იდეოლოგიური, საკადრო.

პარტიულ ორგანიზაციათა პოლიტიკური სიმწიფე უწინარეს ყოვლისა უნდა გამოიხატოს ისეთი პირობების შექმნით, რომ პარტიული კრებები, კონფერენციები მიმდინარეობდეს მაღალი აქტიურობისა და პრინციპულობის ვითარებაში დემოკრატიულად და საკარიოდ, დრამოუშვერი რეგლამენტაციის აღმოფხვრის უნარით. ერთი სიტყვით, ისინი უნდა იყვნენ უმნიშვნელოვანესი, მწვავე, გადაუდებელი, მტკივნეული პრობლემების განხილვის ტრიბუნა, შესაძლებლობა მოგვცენ დაწერილებით გავერკვეთ, რა უნდა გაკეთდეს პრაქტიკულად ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში საარსებო საკითხების გადაწყვეტისათვის, რომელზეც დამოკიდებულია თითოეული საბჭოთა ადამიანის ყოფიერება და გუნება-განწყობილება, მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილება, მაშასადამე, პარტიული პოლიტიკის ეფექტიანობაც.

ყველაზე დიდი უურადღება, რა თქმა უნდა, უნდა დაეთმოს იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების განვითარების საკითხებს, უმოქმედობის, კონსერვატიზმის, ბიუროკრატიზმის, გარდაქმნის სხვა ანტიპოდების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

ფართო იუდიტორიაში განწყობილებას, სჯა-ბაასს მიმართულებას, რასაკვირველია, ბევრად განსხვავრავს ის, თუ რა ტონს მისცემს ამას საანგარიშო მოხსენება. პარტიული ორგანო, მისი ხელმძღვანელი ამკვიდრებენ თავიანთ პოლიტიკურ ავტორიტეტს, როცა მათი საქმიანობის თვითშეფასება არის უფრო ტაცარი და მომხოვნელი, ვიდრე შეფასება საზოგადოებრიობის მხრივ. მხოლოდ ასეთ საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ კონსტრუქციული წინადადებანი, მოქმედების აღმშენებლობითი პროგრამა, რომელსაც მოსდევს რეალური წინსვლა გარდაქმნის ძირითადი მიმართულებებით.

ამავე დროს დადამშყვეტი მნიშვნელობა, უდავოა, აქ ექნება ბოლშევიკურად პრინციპულ, ინიციატივიან, მომზდარის მთელი მნიშვნელობის შეგნებით გამსჭვალულ ყველა კომუნისტს, კრებების მონაწილეებისა და კონფერენციების დელეგატების პოზიციას, მათ საკუთარი პარტიული სახლის სრულფასოვანი ბატონ-პატრონის გრძნობას, პარტიის საქმისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობას. რადგან გარდაქმნაში პარტიის ავანგარდულ როლს განსაზღვრავს ის, თუ რამდენად აქტიურად და პასუხისმგებლობით მოემზადებენ კომუნისტები სოციალისტური ინერციის განახლების ყველა უბანზე, როგორია პრაქტიკული საქმეებით დადასტურებული მათი რეალური გავლენა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა შეკვეგნოთ, თუ როგორ წყვა საქმეები თითოეულ პარტიულ ორგანიზაციაში, თითოეულ კოლექტივში, ქალაქში, სოფელში, რაიონში, ოლქში, როგორ განხორციელდა იქ და რა შედეგებს მოიტანს გარდაქმნა — ყოველივე ეს პირდაპირ არის დამოკიდებული ყველა კომუნისტზე. ამასთან არა მარტო იმაში, თუ ვის აირჩევენ ან გადაირჩევენ კომუნისტები თავისი ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობაში, არამედ რამდენად მოაგვარებენ ისინი შემდგომ კონტროლსაც, ამ ორგანოსადმი მხარდაჭერასაც და საერთოდ მთელ თავიანთ მუშაობასაც.

— საკადრო პოლიტიკის რა კონკრეტული ამოცანები გადაწყვეტა ანგარიშგება-არჩევნების დროს?

— ძირეული რგოლებიდან დაწყებული პარტიული კომიტეტების არჩევნების პროცესში პარტიული ორგანოების ხელმძღვანელი შემადგენლობა ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მათ შეძლონ წარმატებით გადაწყვიტონ არა მარტო დღეკანდელი, არამედ სამომავლო ამოცანები. საარჩევნო კრებებმა და კონფერენციებმა უნდა განსაზღვრონ, ვის ანდობენ კომუნისტები პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობას პარტიისა და საზოგადოების ცხოვრების ახლანდელ, მიტაც მნიშვნელოვან ეტაპზე, იქნებიან თუ არა

(დასასრული მე-3 გვ.).

ბუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

საშემოდგომო გამოცდა

თელავში გაიმართა ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავისა და წითელწყაროს რაიონების პარტიის რაიკომების პირველი მდივნების, რაიაღმასკომებისა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეთა თათბირი. მათ განიხილეს საკვების დამზადების, მარცვლეული კულტურების ადების მდგომარეობა და რაიონების მშრომელთა მზადყოფნა ზეთლის ორგანიზებულად გამართვისათვის.

თათბირზე მოკლე ანგარიშებით წარსდგნენ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეები. მოისმინეს ინფორმაციები რეგიონში მოსავლის აღების პაპუხსაგები კამპანიის განხორციელებისათვის რესპუბლიკის სხვადასხვა სამსახურის მზადყოფნის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის სახაგრარრეწვის თავმჯდომარემ გ. დ. მგელაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, თუ რა მნიშვნელოვანი წვლილი შეტანეს რეგიონის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის მარცვლოვანი კულტურების მიყიდვის დავალების შესრულებაში. მოეწოდა თათბირის მონაწილეებს დარაზმან შრომითი რესურსები საკვების დამზადებაში ადგილებზე არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ე. ჩერქეზიამ.

პრიორიტეტი მომხმარებელს აძლევს

დამამზადებელნი დიქტატზე უარის თქმასა და მომხმარებლის პრიორიტეტის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილებები, რომლებმაც განაადა სამეურნეო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი. ამ დადგენილებების ერთიანი განმარტებით შემუშავებას მიეძღვნა ამიერკავკასიის რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა წარმომადგენლების თბილისში გაიმართა.

საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო ძირითადი მოხმარების საკონლის მიწოდების შესახებ ახალი დებულებების, საექსპორტო-სამპორტო ოპერაციების განხორციელებისას ხელშეკრულებათა ურთიერთობის რეგულირების ძირითადი პირობების, აგრეთვე 1989-1990 წლებისათვის სახელმწიფო შეკვეთის ფორმირების წესის დამტკიცება — აი ის საკითხთა წრე, რომლებზეც იმსჯელეს.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვ. შელეძე და სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილე ი. მ. ოსტანი.

ქარგი შედეგებით

თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივი მეურნეობრიობის ახალ პირობებში შრომობს. თავდადებით იბრძვის მიმდინარე წლის სახელმწიფო დავალებათა გეგმის გადამტებით შესრულებისათვის. აქ წლის განვლილ 7 თვეში ნაცვლად 276 ათასისა 318 ათასი მანეთის მოგება მიიღეს; 100 პროცენტით შესრულდა პროდუქციის მიწოდების გეგმა, გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 106 ათასი მანეთის ნაწარმი. პროდუქციის განახლებისათვის ზრუნვა აქ ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად იქცა. მომხმარებელმა უკვე მიიღო ექვსი ახალი სახეობის ნაწარმი.

სურათზე: კერამიკული საამქროს მხატვარ-შემსრულებელი რ. თავაძე და ტექნოლოგი რ. კვაშალი.

თ. ნიკოლაიშვილის („კომუნისტი“) ფოტო.

მხვნელ-მთესველებს მკა გამოსცდის

წლევანდელი ზაფხულის ცალებადმა ამინდმა დამატებითი სიძნელეები შეუქმნა რესპუბლიკის მიწათმოქმედებს მკაში. ხშირი წვიმები აფერხებს კომბაინებს, ანელებს სამუშაოთა ტემპს. ბევრ მეურნეობაში პურეული ჩაწვა. მიუხედავად ამისა, მარცვლეული კულტურების მომყვანი მეტი წილი მეურნეობები, რომლებმაც ადრის დაუპირისპირეს ორგანიზებულობა და დისციპლინა, შარშანდელთან შედარებით სწრაფი ტემპით მკიან. იგრძნობა მექანიზატორთა დაინტერესება ზრომის საბოლოო შედეგებით: იყარა, სანარდო მუშაობა, ზრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების სხვა პროგრესული ფორმები და მეთოდები პრაქტიკულად ყველა მეგნიდგრეობის კოლექტივმა. აითვისა.

საქართველოს სსრ სტატისტიკომის მონაცემებით, 15 აგვისტოსათვის მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები (სიმინდის გარდა) აღებულია 103.438 ჰექტარზე. შარშან ამავე თარიღისათვის ეს სამუშაოები თითქმის ასეთივე ფართობზე იყო შესრულებული.

გაღწეულია მთელი ნათესების 60 პროცენტი. გეგმით გათვალისწინებული 60 ათასი ტონის ნაცვლად დამზადებულია 58.530 ტონა მარცვლეული.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის შეკვეთა შეასრულეს რესპუბლიკის შემდეგმა რაიონებმა:

	გეგმა (ტონა)	ფაქტობრივად დაბრუნებულია
ახმეტის რაიონი	700	892
ყვარლის	1300	1996
ლაგოდეხის	2800	3667
მარნეულის	2900	4946
მცხეთის	300	660
საგარეჯოს	3300	7015
სიღნაღის	5800	8215
თელავის	1000	1491
წითელწყაროს	16710	17415

(საქინფორმი).

ჭეშმარიტება ცილისწამების წინააღმდეგ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პოლიტბიუროს 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარ რეპრესიებთან დაკავშირებული მასალების დამატებითი შესწავლის კომისიის თავმჯდომარის მ. ს. სოლომენცევის საუბარი „პრავდის“ კორესპონდენტებთან

საბჭოთა ადამიანებმა კმაყოფილებით აღქვეს ამ კომისიის შექმნა. მრავალ წერილში „პრავდის“ მკითხველები იწონებენ მისი საქმიანობის პირველ შედეგებს და გვთხოვენ უფრო დაწვრილებით გავაშუქოთ შემდგომი მუშაობის მიმდინარეობა.

შრომის ვეტერანი, მისკოვის სახარისხებელი დეპოს ყოფილი მეგანქანე ა. ფარინოვი, მაგალითად, წერს: „კარგად მახსოვს, როგორ ამუშავებდნენ საზოგადოებრივ აზრს, როგორ შეაგონებდნენ საბჭოთა ადამიანებს დანაშაულებრივ სიცრუეს სტალინის ხანაში, როცა პოლიტბიუროს საქმიანობა საიდუმლოებით იყო მოცული, როცა გვიმალავდნენ ყველაფერს, რაც სახელმწიფოში ხდებოდა. სამაგიეროდ უაღრესად ფართოდ შუქდებოდა შეიურნალური სასამართლო პროცესები. მთელ პრესაში და რადიოთი ეუწყებოდნენ „ინტერნაციონალური ორგანიზაციების“, „ნარნ-ნარი „ცენტრების“ გამომეღვნების ამბავს, სასამართლო გარჩევის მიმდინარეობას, საბრალდებო დასკვნებს, ბრალდებულთა დაკითხვებსა და მათ „აღიარებას“, პროკურორთა სიტყვებს, ფანაჩენებსა და ა. შ. ამიტომ უარიანად მიგვაჩნია დავაკონკრეტ ახლა იმის შესახებ, თუ როგორ იხსნება ეს დახლართული კვანძი, როგორ მუშაობს პოლიტბიუროს კომისია“.

ესა და სხვა კითხვები, რომლებიც ბუნებრივია გარდაქმნის, დემოკრატიზაციის, ფართო საჯაროობის დროს, დიდი კიდეც საფუძველად საუბარს.

— **პატივცემულო მიხეილ, „პრავდის“ მკითხველები დიდ ინტერესს იჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის საქმიანობისადმი. XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის შემდეგ ეს ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა. როგორია კომისიის მიზნები და ამოცანები? ვინ შედგება მასში? რომელი ორგანიზაციები და დაწესებულებები არიან ჩაბმული სასამართლო და პარტიული წესით რეაბილიტაციისათვის მუშაობაში?**

— პოლიტბიუროს კომისია შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებით. როგორც თავად კომისიის სახელწოდებიდან გამომდინარეობს, მისი ამოცანაა დამატებით შეისწავლოს 30-40-იან წლებში და 50-იანი წლების დამდეგს მომხდარ რეპრესიებთან დაკავშირებული მასალები. ჩვენ უნდა განვაგრძოთ ცნობილი და ახალი ფაქტებისა და დოკუმენტების კვლევა, რომელიც ეხება წარსულის ტრაგიკულ ამბებს, ისევ ბოლოდე მივიყვანოთ ისტორიული სიმართლისა და სამართლიანობის აღდგენის საქმე.

კომისიის შემადგენლობა საკმაოდ წარმომადგენლობითია. მასში, თავმჯდომარის გარდა, შეიკრიბენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. მ. ჩებრიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. ლუკიანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე ვ. ი. ბოლდინი და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი გ. ლ. სმირნოვი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის მუშაობა იზოლირებულად როდი მიმდინარეობს. იგი მუშაობს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან, სამმართველო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან მჭიდრო კონტაქტით. მუშაობაში ჩაბმული არიან სასამართლოს, პროკურატურისა და სახელმწიფო უშიშროების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, ბევრი საბჭოთა მოქალაქე.

— ჩანს თუ არა იმ კომისიებისა და ორგანიზაციების საქმიანობასთან ამ კომისიის მუშაობის კავშირის მემკვიდრეობითობა, რომლებიც შეიქმნა პარტიის XX ყრილობის წინ და შემდეგ? ჩანს თუ არა და რით გამოიხატება კვლევის თვისებრივად ახალი დონე?

— როგორც ცნობილია, სკკპ XX ყრილობის შემდეგ ადგება ბევრი უდანაშაულოდ რეპრესირებული პარტიისა და სახელმწიფო მოღვაწის, სამეურნეო და სამხედრო მოუპყრის, მეცნიერის, კულტურის მოღვაწის, კომუნისტისა და უპარტიოს ეროვნული ელიტის. 1954 წელს შეიქმნა პოლიტიკური ბრალდებით 1934-1953 წლებში მსჯავრდებული პირების საქმეთა გადასინჯვის ცენტრალური და ადგილობრივი კომისიები. და მათ ჭეროვანი უნდა მივაგოთ — გასწიეს დიდი, გულმოდგინე შრომა, მთლიანად მოამდინეს ათიოდმილიონი დაფესაბურთულობად მსჯავრდებული საბჭოთა მოქალაქის რეაბილიტაცია.

სამწუხაროდ, ამ კომისიათა მუშაობა ნაადრევად შეწყვიტეს, თუმცა, როგორც ფაქტები მოწმობს, ბევრი საქმე ჯერ კიდევ გაუნუხლავი რჩებოდა. გაუმართლებლად შეავიწროვეს საქმეთა გადასინჯვის ქრონოლოგიური ჩარჩოებიც. დოკუმენტები კი მოწმობენ, რომ დაუსაბუთებელი რეპრესიები ხდებოდა წინათაც, 1934 წლამდე.

როგორც ცნობილია, პარტიის XX და XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი ამ მხრივ გარკვეული დროიდან დავიწყებას ეძლა. და ამას, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა პოლიტიკური რეპრესიების შეფასებისადმი საერთო მიდგომაზე.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შემდგომ, უძრაობის წლებში, რეპრესირებულთა ან მათ ნათესავთა განცხადებებით ინიციადნენ ცალკეულ საქმეებს სამართალდაკვეთი და პარტიული ორგანოები, მათ შორის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტმ.

— რა მიგაჩნიათ რეაბილიტაციისათვის ამ მუშაობის ნაკლად, რომელიც ამ სანად ჩარჩოდან?

— რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობდა შეჩჩევით, ეპიზოდურად. ზმირად სჯერდებოდნენ სასამართლო წესით რეაბილიტაციას, ბევრ საქმეზე, ადგილობრივ ადგილზე, ეს ეფექტიანობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, ეფექტურობა

ჭეშმარიტება ცილისწამების წინააღმდეგ

(დასასრული)

— შეიძლება თუ არა კონკრეტული მაგალითებით გვიჩვენოთ, თუ პრაქტიკულად როგორ იხილავთ მასალებს?

— ჩვენს მუშაობას საფუძველად უდევს მოფიქრებული გეგმა და ზორიკეულდება პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ნორმების ზუსტი შესაბამისობით. სანამ კონკრეტულ საქმეში, სასამართლო პროცესში გავერკვეოდი, დავალებას ვაძლევთ სსრ კავშირის პროკურატურასა და სხვა კომპეტენტურ დაწესებულებებს, ღრმად შეამოწმონ საქმე და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებანი, რომლებიც დაფუძნებული იქნება კანონზე, მოგვცენ ამოწურვადი, დასაბუთებული, უეცლობლად დამტკიცებული დასკვნა, რის შედეგად გამოგვიქმნა საბოლოო დასკვნები.

— მაგრამ თუ საქმე ეხება გაუსამართლებლად მსჯავრდადებული პირების რეაბილიტაციას?

— ასეთი საქმეების გამოც სსრ კავშირის პროკურატურას, მის ადგილობრივ ორგანოებს პროკურატორ შეაქვთ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში და სხვა სასამართლო ინსტანციებში. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სასამართლოები, პროკურატურასა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ამ საქმიანობაში მხოლოდ კანონით ხელმძღვანელობენ. და ეს, უნდა ითქვას, ნიადაგ კომისიების მხედველობის არეშია. მთლიანად გამორიცხულია მათზე „ზეთოქმედება“ ან „ძალდატანება“. თავიანთ გადაწყვეტილებებს უმაღლესი სასამართლო ორგანოები იღებენ ღია სხდომებზე პრესის წარმომადგენლთა თანდასწრებით.

რა თქმა უნდა, ეს ძალზე რთული. და მეტად პასუხსაგები სამუშაოა. საჭიროა უაღრესად დაწვრილებით გავერკვეთ ისტორიულ ფაქტებში, ადამიანთა მეხდიერებებში, პოზიციებში, საქციელში.

— როგორ განიხილება ამ პირების პარტიულობის საქმე, რომლებიც რეაბილიტირებული არიან სასამართლო წესით?

— მათ განიხილავენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომიტეტში, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის არსებულ დადგენილებათა მკაცრი შესაბამისობით.

უნდა ითქვას, რომ საქმეები, რომლებსაც ჩვენ ვიხილავთ, უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური ხასიათისაა. ამიტომ გულდასმით ვიკვლევთ მოვლენებისა და ფაქტების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, სასამართლო პროცესებს ვუფარდებთ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას, ან პერიოდში პოლიტიკური და იდეური ბრძოლის სიმწვავეს. არსებითი მნიშვნელობა აქვს მაშინ წამოყენებული პროგრამების, პლატფორმების ანალიზს, ამა თუ იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე სხვადასხვა თვალსაზრისის გამოჩკვეევას. აქ, ბუნებრივია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ისტორიკოსებისა და სოციოლოგების, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თანამშრომლთა აზრი.

— როგორია თვით კომისიის როლი?

— იგი კოორდინაციას უწევს რეაბილიტაციისათვის მთელ მუშაობას, შეაქვს მასში გეგმაზომიერება სისტემურობა, ამოშმუშავს თუ როგორ სრულდება დასახული ღონისძიებანი, სწავლობს შესაბამის მასალებს, ისმენს სასამართლო და პარტიული წესით პროკურორებისა და საქმეების განხილვის შედეგების შესახებ ცნობებს და შეფასებას აძლევს მათ. ყველა სხდომის ამბავს აქვეყნებს პრესა, რადიო, ტელევიზია.

— პიროვნების კულტის წლებში თვითნებობას ემსხვერპლა ხაზგასმულად კონფუნსტური პარტიების, კომინტერნის ზოგიერთი მოღვაწე, რომლებიც სამეოთა კავშირში იმყოფებოდნენ. წარმოიმეს თუ არა ამ პირების მიმართ საქმეების დამატებითი შესწავლა.

— ასეთი მუშაობა დაიწყო, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 50-იანი წლების შუა პერიოდში. მაგრამ იგი ბოლომდე არ მიუყვანიათ. ახლა კომისიას მხედველობაში აქვს ეს საკითხები. რა თქმა უნდა, საჭიროა კონტაქტების დამყარება შესაბამის მოძმე პარტიებთან.

— რამ გაიძულათ კვლავ მიგებმართათ, თითქოსდა ისეთი ცნობილი საქმეებისათვის, როგორიც არის „ლენინგრადის საქმე“, „ანტისაბჭოური ტროცკისტული სამხედრო ორგანიზაცია“ („სამხედროთა შეთქმულება“), და ჯერ კიდევ 50-იან წლებში გადასინჯული სხვა საქმეებისათვის.

— როცა წინა კომისიის მასალებს გავეცანით, აღმოვაჩინეთ, რომ ზოგიერთი სრულიად უდანაშაულო პირი არი იყო მთლიანად რეაბილიტირებული, აღდგენილი პარტიაში. პროკურატურისორგანოებს, პარტიულ კონტროლის კომიტეტს მიეცით შესაბამისი დავალებანი დამატებით შეიმოწმებინათ ასეთი საქმეები და ახლა შეიძლება ითქვას, რომ ეს მუშაობა დამთავრებულია. კვლავაც ვიზრუნებთ იმისათვის, რომ კომისიამ დაამთავროს საქმეების განხილვა. ჩვენი აზრით, ეს ბევრად განსაზღვრავს რეაბილიტაციისათვის მუშაობის თვისებრივად ახალ დონეს.

— რა დოკუმენტები უძევს საუფლველად წინასწარ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვას? რა სიძნელეებს აწყდებით? კერძოდ, არის თუ არა საარქივო დოკუმენტების ამოღების ფაქტები?

— ყოველი გადაწყვეტილება ეფყარება იმ დოკუმენტების მთელი კომპლექსს საფუძდაგული ანალიზს, რომლებიც ეხება ამა თუ იმ პრობლემას, ამა თუ იმ პიროვნებას. მას საფუძვლად უდევს არა ცალკეული პირების (სურვილი, ნება, ან გაწყობილება, არამედ ყველა ის არსებული მასალიდან გამომდინარე ობიექტური დასკვნები და შეფასებები, რომელთა

ულეთი
საქართველო
19 აგვისტო

კულტურული კონტაქტები

უმშვენიერესი სანახაობა

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წარმატება

ნიუ-იორკი, 17 დაიწყო საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები. საბჭოთა ფსიხიობების პირველ გამოსვლას ნიუ-იორკში აღფრთოვანებთ შეხვდა საზოგადოება, რომელმაც გაავსო ბროდვეის „მარკ ჰელინგერ ტიეტრის“ დარბაზი. მეჭუხარე ტაშით, შვიაწილებით „ბრავო“ მაყურებლები დიდხანს არ უშვებდნენ მოცეკვავეებს ყვავილებით შოფენილი სცენიდან.

